

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

მუხლი 1. მიზანი

უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **ამოღების რისკთან დაკავშირებული დანახარჯი** – დანახარჯი, რომელიც უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს უმცირებს მომხმარებელზე დარიცხული თანხის ამოღების რისკს კომისიის მიერ განსაზღვრული გონივრული ოდენობით;
- ბ) **მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი** – ელექტროენერჯის ფასი, რომელსაც კომისია განსაზღვრავს მომხმარებელთა თითოეული ჯგუფისთვის;
- გ) **მომხმარებელი** – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, აგრეთვე, მცირე საწარმო, რომელთაც არ აურჩევიათ მიმწოდებელი;
- დ) **მომხმარებელთა ჯგუფი** – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ძაბვისა და მოხმარების ოდენობის მიხედვით და მცირე საწარმო;
- ე) **საანგარიშსწორებო ფასი** – უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასთან გაფორმებულ ფასთა სხვაობის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი;
- ვ) **საოპერაციო დანახარჯები** – უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ უნივერსალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მიმდინარე დანახარჯები;
- ზ) (ამოღებულია - 24.06.21, №15).

2. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები უზრუნველყოფს:
 - ა) მომხმარებლების დაცვას ბაზრის გახსნის გარდამავალ ეტაპებზე და მათთვის სტაბილური ფასის განსაზღვრას;
 - ბ) უნივერსალური მომსახურების მიწოდების უწყვეტი და საიმედო ფუნქციონირების ხელშეწყობას;
 - გ) უნივერსალური მომსახურების მიწოდებისათვის გამჭვირვალე და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას.
2. უბალანსობის ხარჯის, ცვეთის ხარჯისა და საოპერაციო დანახარჯების გაანგარიშება ხორციელდება საბაზისო წლის აუდირებული მონაცემებისა და რეგულირების პერიოდისათვის საპროგნოზო დანახარჯების გათვალისწინებით, კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესით“ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.
3. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი იანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. სატარიფო რეგულირების პერიოდი

1. უნივერსალური მომსახურების მიწოდებისთვის სატარიფო რეგულირების პერიოდი (n) განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით.
2. იმ შემთხვევაში თუ უნივერსალური მომსახურების მიწოდებელს მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია, შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე სატარიფო რეგულირების პერიოდის ბოლომდე ან მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ჩათვლით.

მუხლი 5. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფის სტრუქტურა

1. მეთოდოლოგიით დადგენილი უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
 - ა) მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი;
 - ბ) უნივერსალური მომსახურების კომპონენტი;
 - გ) გარანტირებული სიმძლავრის კომპონენტი;
 - დ) მომსახურების ხარისხის კომპონენტი;
 - ე) ამოღების რისკთან დაკავშირებული დანახარჯი.
2. უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი თითოეული ჯგუფის მომხმარებლისათვის რეგულირების პერიოდისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{USS}^k = (P_{USS}^k + USC + GC) * (1 + Q) + PRC \quad (1),$$

სადაც:

T_{USS}^k	- უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ტარიფი k ჯგუფის მომხმარებლისათვის (თეთრი/კვტ.სთ);
P_{USS}^k	- უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ k ჯგუფის მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი, რომელიც იანგარიშება მე-6 მუხლის შესაბამისად (თეთრი/კვტ.სთ);
USC	- უნივერსალური მომსახურების კომპონენტი, რომელიც განსაზღვრება მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის შესაბამისად (თეთრი/კვტ.სთ);
GC	- გარანტირებული სიმძლავრის საფასური, გაანგარიშებული ელექტროენერჯის ერთეულზე (თეთრი/კვტ.სთ);
PRC	- კომისიის მიერ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის განსაზღვრული ამოღების რისკთან დაკავშირებული დანახარჯი (თეთრი/კვტ.სთ);
Q	- კომისიის მიერ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტივ/აქტივით განსაზღვრული მომსახურების ხარისხის სტანდარტის წლიური სამიზნე მაჩვენებლის/მაჩვენებლების გაუმჯობესების/გაუარესების ფინანსური შედეგი (პროცენტი).

3. ამოღების რისკთან დაკავშირებული დანახარჯი რეგულირების პერიოდისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$PRC = [(P_{USS}^k + USC + GC) * (1 + Q) + TTSO + TDSO] * 0.5\% \quad (I'),$$

სადაც:

PRC	-	კომისიის მიერ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის განსაზღვრული ამოღების რისკთან დაკავშირებული დანახარჯი (თეთრი/კვტ.სთ);
P_{USS}^k	-	უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ k ჯგუფის მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი, რომელიც იანგარიშება მე-6 მუხლის შესაბამისად (თეთრი/კვტ.სთ);
USC	-	უნივერსალური მომსახურების კომპონენტი, რომელიც განისაზღვრება მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის შესაბამისად (თეთრი/კვტ.სთ);
GC	-	გარანტირებული სიმძლავრის საფასური, გაანგარიშებული ელექტროენერჯის ერთეულზე (თეთრი/კვტ.სთ);
TTSO	-	კომისიის მიერ გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი გადაცემის ტარიფი (თეთრი/კვტ.სთ);
TDSO	-	კომისიის მიერ შესაბამისი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, რომლის სალიცენზიო არეალშიც მოქმედებს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი (თეთრი/კვტ.სთ);
Q	-	კომისიის მიერ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის შესაბამისი ნორმატიული აქტივ/აქტივით განსაზღვრული მომსახურების ხარისხის სტანდარტის წლიური სამიზნე მაჩვენებლის/მაჩვენებლების გაუმჯობესების/გაუარესების ფინანსური შედეგი (პროცენტი).

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.

მუხლი 6. მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი და საანგარიშსწორებო ფასი

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფისთვის კომისია ადგენს მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასებს, რომელთა საშუალო შეწონილი უნდა უტოლდებოდეს კომისიის მიერ დადგენილ საანგარიშსწორებო ფასს.
2. საანგარიშსწორებო ფასი და უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ თითოეული ჯგუფის მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასი იანგარიშება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:
 - ა) დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ფასების დინამიკა;
 - ბ) უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ მისაწოდებელი ელექტროენერჯის ოდენობები;
 - გ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საბითუმო საჯარო მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილი ფონდის ფორმირებისა და განკარგვის წესი;
 - დ) საქართველოს მთავრობის მიერ ელექტროენერჯის მწარმოებლებისთვის დაკისრებული საჯარო მომსახურების ვალდებულებით განსაზღვრული ვადები, მათ მიერ წარმოებული

ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობები და მათთვის კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერჯის წარმოების ტარიფები.

მუხლი 7. უნივერსალური მომსახურების კომპონენტი

კომისია სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის განსაზღვრავს უნივერსალური მომსახურების კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ შემდეგი დანახარჯების ანაზღაურებას:

- ა) რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი;
- ბ) საოპერაციო დანახარჯები;
- გ) უბალანსობის ხარჯი;
- დ) საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი ;
- ე) გონივრული მოგება, რომელსაც საანგარიშსწორებო ფასზე პროცენტის სახით განსაზღვრავს კომისია 1.5%-ის ოდენობით.

მუხლი 8. რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი

1. რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯი იანგარიშება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის რეგულირებადი აქტივების ბაზაზე დაყრდნობით.
2. რეგულირებადი აქტივის საწყისი ღირებულება განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებით.
3. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება განისაზღვრება ისტორიული ღირებულების მოდელით.
4. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია, შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას, არ ითვალისწინებს აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას და ხელმძღვანელობს აქტივის ისტორიული ღირებულებით.
5. რეგულირებად აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდით განსაზღვრული, აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის წლისათვის მოქმედი, კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.

მუხლი 9. საოპერაციო დანახარჯები

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს უნივერსალურ მომსახურებაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, გარდა ამ მომსახურების განსახორციელებლად მისაწოდებელი ელექტროენერჯის ღირებულების, საბრუნავ კაპიტალზე ამონაგების, რეგულირებადი აქტივების ცვეთის ხარჯისა და უბალანსობის ხარჯისა.
2. სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ტარიფის გაანგარიშებისას, კომისია ითვალისწინებს საბაზისო წლის იმ საოპერაციო დანახარჯებს, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.

3. კომისია უფლებამოსილია, სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებსაც მიიჩნევს დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

მუხლი 10. უბალანსობის ხარჯი

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი უბალანსობის ხარჯის გონივრული ოდენობის გაანგარიშებისას, კომისია ეყრდნობა განვლილი პერიოდის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების სალდირებულ მონაცემებს.

2. კომისია უფლებამოსილია, სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის უბალანსობის ხარჯის გონივრული ოდენობა განსაზღვროს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით:

$$IC_{t+i} = E_{t+i} * kI * ((PI - P_{cfd}) * c_1 + (-PI - P_{cfd}) * c_2 + (PI + P_{cfd}) * c_3 + (-PI + P_{cfd}) * c_4) \quad (2)$$

სადაც:

<i>i</i>	– სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში (1≤i≤n);
<i>IC_{t+i}</i>	– უბალანსობის ხარჯი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>E_{t+i}</i>	– მისაწოდებელი ელექტროენერჯის ოდენობა სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
<i>kI</i>	– საპროგნოზო უბალანსობის კოეფიციენტი რეგულირების პერიოდისთვის (პროცენტი)
<i>PI</i>	– უბალანსობის საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი საბალანსო ელექტროენერჯის ბაზარზე შესაბამისი რეგულირების პერიოდისათვის (თეთრი/კვტ.სთ);
<i>P_{cfd}</i>	– ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო ფასი შესაბამისი რეგულირების პერიოდისათვის (თეთრი/კვტ.სთ);
<i>c₁</i>	– ალბათობა იმისა, რომ მიმწოდებელი იმყოფება დადებით და დამამძიმებელ უბალანსობაში (პროცენტი);
<i>c₂</i>	– ალბათობა იმისა, რომ მიმწოდებელი იმყოფება დადებით და შემამსუბუქებელ უბალანსობაში (პროცენტი);
<i>c₃</i>	– ალბათობა იმისა, რომ მიმწოდებელი იმყოფება უარყოფით და დამამძიმებელ უბალანსობაში (პროცენტი);
<i>c₄</i>	– ალბათობა იმისა, რომ მიმწოდებელი იმყოფება უარყოფით და შემამსუბუქებელ უბალანსობაში (პროცენტი).

მუხლი 11. საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი

1. საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი იანგარიშება საანგარიშსწორებო ფასის შესაბამისად გაანგარიშებულ ელექტროენერჯის შესყიდვის

ღირებულებასა და კრედიტორული და დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეებს შორის არსებულ განსხვავებაზე, რომელიც შეადგენს 45 კალენდარულ დღეს.

2. საოპერაციო ხარჯებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის დაფარვისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი იანგარიშება კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის მე-15 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

3. საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება კომისიის მიერ თითოეული რეგულირების პერიოდისათვის როგორც საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სესხებზე საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

მუხლი 12. ტარიფის კორექტირება რეგულირების პერიოდის განმავლობაში

1. რეგულირების პერიოდის განმავლობაში საანგარიშსწორებო ფასის ცვლილების შემთხვევაში კომისია ახორციელებს სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასების (P_{USS}^k) და სხვა შესაბამისი კომპონენტების კორექტირებას იმავე სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის მიმდინარეობისას სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლების მოხმარების სტრუქტურის ცვლილება იწვევს არსებით განსხვავებას მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასების საშუალო შეწონილსა და საანგარიშსწორებო ფასს შორის, კომისია განახორციელებს სხვადასხვა ჯგუფის მომხმარებლებისთვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასებისა (P_{USS}^k) და შესაბამისი ჯგუფის მომხმარებლისათვის მიწოდების ტარიფის (T_{USS}^k) კორექტირებას იმავე სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში ერთხელ.

3. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში არსებითად იცვლება უბალანსობის ხარჯის გონივრული ოდენობა, კომისია განახორციელებს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის დადგენილი ტარიფების კორექტირებას იმავე სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში ერთხელ.

მუხლი 13. ტარიფის დასადგენად წარსადგენი სატარიფო განაცხადი

1. ტარიფის დადგენის მიზნით, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, ტარიფის გაანგარიშების წელს, მეთოდოლოგიის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომისიას წარუდგინოს სატარიფო განაცხადი.

2. სატარიფო განაცხადის ფორმებსა და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალს ამტკიცებს კომისია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სატარიფო განაცხადთან ერთად, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელმა ასევე უნდა წარუდგინოს კომისიას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.

4. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს არ გააჩნია საბაზისო წლის მონაცემები, იგი უფლებამოსილია, სატარიფო განაცხადით წარადგინოს საპროგნოზო მონაცემები.

5. კომისია უფლებამოსილია, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის ან/და სხვადასხვა სახის დასკვნის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
6. სატარიფო განაცხადისა და მასზე თანდართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს.

მუხლი 14. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, სატარიფო განაცხადი კომისიას წარუდგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა. ეს ვადა, განმცხადებლის მოთხოვნით, შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი კომისიას არ წარუდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად.
5. კომისია უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ტარიფებს. ამ შემთხვევაში უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.
7. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის შესაბამისი ტარიფების დადგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
8. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისთვის შესაბამისი ტარიფების დადგენამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. კომისია განახორციელებს 2021-2023 სატარიფო წლებისთვის დადგენილ უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების კორექტურებას მეთოდოლოგიის მე-6 მუხლოთაგან აღსწინებულ მისაწოდებელ ელექტროენერჯის ფასით ასევე, გარანტირებულ სიმძლავრის საფასურისა და მე-7 მუხლოთაგან აღსწინებულ უნივერსალური მომსახურების კომპონენტის მიზანშეწინილ და გონივრულ ოდენობით

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კორექტირებას კომისია განახორციელებს კომისიის მიერ დამტკიცებული ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების პრინციპების შესაბამისად.
3. გრძელვადიანი სესხის ღირებულება დგინდება თითოეული რეგულირების პერიოდისთვის და 2021 სატარიფო წლისთვის განისაზღვრება 13.19%-ის ოდენობით.
4. 2021-2023 წლებისთვის საპროგნოზო უბალანსობის კოეფიციენტი განისაზღვრება 10%-ის ოდენობით.
5. მეთოდოლოგიის საფუძველზე უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის პირველი სატარიფო რეგულირების დროს არ ვრცელდება სატარიფო განაცხადის წარმოდგენისთვის მეთოდოლოგიის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თარიღი.
6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე, კომისია უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფისთვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის ფასებს განსაზღვრავს როგორც საშუალო შეწონილ ფასებს, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მიერ ელექტროენერჯის მწარმოებლებისგან შესასყიდი ელექტროენერჯისა და ბაზრის კომერციული ოპერატორისგან შესასყიდი საბალანსო ელექტროენერჯის სავარაუდო რაოდენობისა და ფასების გათვალისწინებით.
7. კომისია განახორციელებს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე დადგენილი უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფების კორექტირებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მისაწოდებელი ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასის დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობით.
8. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე, ამ მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული გონივრული მოგება იანგარიშება უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფისთვის მისაწოდებელი ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასის 1.5%-ის ოდენობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.